საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
საკრებულო



GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY
COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **მამუკა რეხვიაშვილი**

საანგარიშო პერიოდი: 30.10.2025 – 20.10.2026 წ.წ.

თანამდებობა:
1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს წევრი
2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

კომისი(ებ)ის დასახელება:
1. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი
2. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი

ფრაქციის დასახელება
1. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნებას“ წევრი

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 15 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 15 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 13 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 13 სხდომა

❖ **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

დადგენილება - 83;

განკარგულება - 97.

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა:**

ა) კომისიები:

➢ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ჩატარდა: - 8 სხდომა; დასწრება: - 7 სხდომა

➢ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი

ჩატარდა: - 15 სხდომა; დასწრება: - 15 სხდომა

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“

ჩატარდა: - 3 სხდომა; დასწრება: - 2 სხდომა

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საანგარიშო პერიოდში (30.10.2025 – 20.10.2026) ჩაატარა ბიუროს 13 და საკრებულოს 15 სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა 83 დადგენილება და 97 განკარგულება.

მხარდაჭერილი საკითხები:

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჩემი მხრიდან მხარდაჭერილ იქნა მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ყველა მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაწყვეტა და დამტკიცება, მათ შორის:

წესების დადგენა / ნორმატიული რეგულირება

საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულება:

- **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ნოემბრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ბიუჯეტში განხორციელდა 3 ცვლილება).

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N174 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 6 თვის ანგარიშის წარდგენა.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:

• ააიპ ფილიალის „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“ მიერ განხორციელებული პროექტის - „ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების სერვისების გაუმჯობესება სოციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის საქართველოში“ - ფარგლებში, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსგან **გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ**.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული **ჯანდაცვის უზრუნველყოფის ქვეპროგრამების** განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N159 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის N83 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული **სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამების** განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის N85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის - **„ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა“** (პროგრამული კოდი: 06 02 19) - განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის **„პერსონალური ასისტენტის სერვისის“** პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის - **„სტუდენტთა სწავლის დაფინანსების“** (კოდი: 04 05) - განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N160 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული **„შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე“** ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის N87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „**შინ მოვლის თანადაფინანსების** (პროგრამული კოდი: 06 02 17) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავში **მე-11 მკ/რ-ის დროებითი საცხოვრისით მოსარგებლე ოჯახებისთვის** ელექტროენერგიის მომსახურების ღირებულების გადასახადის ხელშეწყობის ქვეპროგრამის

(პროგრამული კოდი: 06 02 05 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქონების მართვა და განკარგვა:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის** შესახებ.
- სახელმწიფო და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისა** და ტერიტორიის ზონირების დამტკიცების შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პირობით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით/ოქმით **ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებაზე** თანხმობის მიცემის შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პირობით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით/ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო **დარღვევის გამოსწორების ვადის განსაზღვრისთვის** თანხმობის მიცემის შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების **საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის** დამტკიცების შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების **საპრივატიზებო გეგმის** დამტკიცების შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების **სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტების ნუსხის** დამტკიცების შესახებ.
- **სასყიდლიან სარგებლობის ხელშეკრულებებში** ცვლილებების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების **სასყიდლიანი სარგებლობის (იჯარა)** უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების **სასყიდლიანი სარგებლობის (აღნაგობა)** უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პირობით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ხელშეკრულებით/ოქმით **ნაკისრი ვალდებულებებისგან გათავისუფლებაზე** თანხმობის მიცემის შესახებ.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პირობით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით/ოქმით ნაკისრი **ვალდებულებების ვადის გაგრძელების** შესახებ“.

არქიტექტურა და სივრცითი მოწყობა:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი **ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების** შესახებ.
- საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების განსაზღვრის წესის** დამტკიცების შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის **განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის** დამტკიცების შესახებ.

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის **განაშენიანების დეტალური გეგმის** დამტკიცების შესახებ.

• ქალაქ რუსთავში **გეოგრაფიული ობიექტების სახელდების** შესახებ.

სამანდატო, საპროცედურო და ორგანიზაციული საკითხები:

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს **2026 წლის კვარტალური გეგმის** დამტკიცების შესახებ.

• რუსთავის **მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2025–2030 წლების სამოქმედო გეგმის** დამტკიცების შესახებ.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში **ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს** შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2025 წლის 29 მაისის N208 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის** დამტკიცების შესახებ.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის წესის** დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2019 წლის 22 ოქტომბრის N145 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში **გარე ვაჭრობის რეგულირებისა** და უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის **ტარიფის განსაზღვრისა და შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტისათვის“ ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ**“ საკრებულოს 2018 წლის 20 ივლისის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახურის დებულების** დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 01 თებერვლის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის **საქმისწარმოების წესის** დამტკიცების შესახებ.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციის დებულების** დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 1 თებერვლის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და საკრებულოს აპარატის **ბეჯდების და ტვიფრების (შტამპების) გამოყენების წესის** დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის N538 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ოფიციალური ვიზიტი:

• **ოფიციალური ვიზიტი ვიტორია-გასტეისში:** როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მონაწილეობა მივიღე სამუშაო ვიზიტში, სადაც უშუალოდ გავეცანი ქალაქის სპორტულ სისტემასა და მართვის მოქმედ მოდელს. ასევე დავათვალიერეთ სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული ობიექტები, მათ შორის: სპორტული ქალაქები, საზოგადოებრივი ცენტრები, სპორტული კომპლექსები, მრავალფუნქციური შენობები და სპეციალიზებული დანიშნულების სივრცეები. აღნიშნული ინფრასტრუქტურა და მართვის გამოცდილება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რუსთავის სამომავლო განვითარების სარეფერენციო მოდელებად.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საანგარიშო პერიოდში, ჩემი, როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს წევრის, შემდგომში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის, ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, ქალაქის მოსახლეობასთან შეხვედრა, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი კომისიისა თუ სამსახურების ჩართვა სამუშაო პროცესში და მათი გადაჭრა.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და შემდგომში საკრებულოს თავმჯდომარის, უმთავრეს მოვალეობას ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს რუსთავის მოსახლეობასთან მუდმივი დიალოგი, საჭიროებების იდენტიფიცირება და პრობლემების დროული, ეფექტური გადაჭრა შესაბამისი კომისიებისა თუ სამსახურების ჩართულობით.

გაგაცნობთ იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებზეც საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმუშაობდით:

საკანონმდებლო, ფრაქციული და კომისიური საქმიანობა

ჩემი საქმიანობა წარიმართებოდა საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით:

• **ფრაქციული მუშაობა:** როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, აქტიურად ვმონაწილეობდი ფრაქციის სხდომებში. ამ ფორმატში დეტალურად განვიხილავდით ქალაქში მიმდინარე პროცესებს, ვმსჯელობდით სამომავლო გეგმებზე და შევიმუშავებდით სტრატეგიულ დასკვნებსა თუ რეკომენდაციებს.

• **ეკოლოგიური ინიციატივები და „ეკო რუსთავი“:** რუსთავისთვის ეკოლოგიური გამოწვევების სიმწვავის გათვალისწინებით, ფრაქციის ფორმატში მხარი დავუჭირეთ ქალაქის მწვანე საფრის განახლებისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობის სტრატეგიას. აქტიურად ვუჭერდი მხარს გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და გამწვანების აქციების ორგანიზებას, რომელთა ფარგლებშიც ქალაქის ცენტრალური პარკის ტერიტორიასა და სხვადასხვა ლოკაციებზე ასეულობით ახალი ნერგი დაირგო, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე

• **მუშაობა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში:** როგორც კომისიის წევრი, უშუალოდ ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და ფორმირებაში. ჩემს უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რომ მომავალი 2027 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად იყოს მორგებული მოსახლეობის რეალურ საჭიროებებზე, სოციალურ პროგრამებსა და ქალაქის განვითარებაზე.

• **კოორდინაცია და ინტერესების დაცვა:** ფრაქციის ფორმატში უზრუნველყოფილია მჭიდრო თანამშრომლობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერთან. ამასთანავე, საკრებულოს ხელმძღვანელობა აქტიურად მონაწილეობს ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის საკონსულტაციო საბჭოს სხდომებში, სადაც მტკიცედ არის წარმოდგენილი ჩვენი მუნიციპალიტეტის ინტერესები.

ინფრასტრუქტურის განვითარება და მუნიციპალური ტრანსპორტი

რუსთავის ახალი განვითარება აქტიურ რეჟიმში გრძელდება. ქალაქის მასშტაბით ჩატარდა და მიმდინარეობს მასშტაბური სამუშაოები:

• **საგზაო და კომუნალური ქსელები:** აქტიურად მიმდინარეობს გზების, სკვერების, ქუჩების გასასვლელების რეაბილიტაცია და ტროტუარების მოწესრიგება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციასა და სანიაღვრე არხების მოწყობას.

• **ისტორიული უბნების რესტავრაცია:** ქალაქის იდენტობის შენარჩუნების ფარგლებში გრძელდება რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია, ხოლო თბილისის ქუჩაზე მიმდინარეობს ავარიული საცხოვრებელი შენობების აღდგენა.

• **ტრანსპორტის განახლება** (მარშრუტი N25): მოსახლეობის მრავალწლიანი მოთხოვნის საპასუხოდ, საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალური ავტობუსის ახალი მარშრუტი თბილისის მიმართულებით, რომელიც პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა. N25 ავტობუსი გმირთა მოედნიდან იწყებს მოძრაობას და კახეთის გზატკეცილის გავლით აკავშირებს რუსთავს აუთლეტ ვილიჯთან, გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან, ისთ ფოინთსა და მეტროსადგურ „სამგორთან“.

საზედამხედველო საქმიანობა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის კონტროლს:

• **საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგი:** პირადად ვმონაწილეობდი ქალაქის ცენტრალური და შიდაუბნების საგზაო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერებასა და მონიტორინგში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სამუშაოების შესრულების ვადებისა და ხარისხის სტანდარტების დაცვა;

• **სკვერებისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა:** აქტიურად ვადევნებდი თვალყურს რუსთავში დასასვენებელი პარკებისა და მწვანე ზონების მოდერნიზაციის პროცესს, ახალი ატრაქციონების, გარე განათებებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობასა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე;

• **უწყებათაშორისი კოორდინაცია:** ინფრასტრუქტურული სამუშაოების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, აქტიური კომუნიკაცია მქონდა მერიის შესაბამის სამსახურებთან და კონტრაქტორ კომპანიებთან, რაც ხელს უწყობდა წამოჭრილი ტექნიკური თუ ლოგისტიკური საკითხების ოპერატიულად მოგვარებას.

რუსთავის ბუნებრივი ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანება

რუსთავის ჭალის ტყე, რომელიც მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე მდებარეობს, ისტორიულად ქალაქის მთავარ „ფილტვს“ წარმოადგენს. მისი ფუნქცია ინდუსტრიულ ზონაში ჰაერის ნაკადის გაწმენდა და უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვაა. საანგარიშო პერიოდში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს ჭალის ტყის აღდგენის გრძელვადიანი კომპლექსური სტრატეგია:

- **მასშტაბური გამწვანების აქციები:** მიმდინარე წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჭალის ტყის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი საყოველთაო ეკო-აქციები ჩატარდა. პროექტის ფარგლებში უკვე ათასობით ძირი ენდემური და რეგიონისთვის დამახასიათებელი ნერგი დაირგა (მათ შორის: მუხა, იასამანი, აკაცია, კაკალი, ნუში, ფიჭვი და თელა).
- **ეკოსისტემის დაცვა:** პროექტი არ შემოიფარგლება მხოლოდ დარგვით; ის ითვალისწინებს ტერიტორიის ნარჩენებისგან გაწმენდას, წყლის დამცავი ბარიერების მოწყობას, სპეციალური მოვლის ტექნიკის შესყიდვას და ტყის რეკრეაციული, საგანმანათლებლო და ტურისტული ფუნქციების განვითარებას.

მუნიციპალური სანერგე მეურნეობის განვითარება:

გამწვანების სამუშაოების ეფექტიანობისა და დამოუკიდებელი რესურსის შესაქმნელად, ქალაქის გარეუბანში, ბუნებრივ ჭალაში, გაშენდა რუსთავის სანერგე მეურნეობა. აღნიშნული სივრცე მუნიციპალიტეტს საშუალებას აძლევს, თავად აწარმოოს ქალაქის კლიმატთან ადაპტირებული ხე-მცენარეები და ნერგები, რაც საგრძნობლად ამცირებს გამწვანების საშემოდგომო და საგაზაფხულო სამუშაოების თვითღირებულებას და ზრდის მცენარეთა გახარების კოეფიციენტს.

პროგრამა – „მწვანე ინფრასტრუქტურა მდგრადი მომავლისთვის“

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად, რუსთავში აქტიურად მიმდინარეობს მიზნობრივი ქვეპროგრამა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების ეზოების კეთილმოწყობასა და გამწვანებას გულისხმობს. საანგარიშო პერიოდში ხე-მცენარეებითა და დეკორატიული ბუჩქებით სრულად გამწვანდა რუსთავის არაერთი ბაგა-ბაღის (მათ შორის №44 საბავშვო ბაღის) მიმდებარე ტერიტორიები, რაც ბავშვებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას ისახავს მიზნად.

რუსთავის ცენტრალური პარკის მოდერნიზაცია

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა რუსთავის ცენტრალური პარკის პროექტირების კონკურსი, რომელიც პირდაპირ უერთდება ბუნებრივ ტყე-ჭალას. პროექტი ითვალისწინებს პარკის ახალ ურბანულ სიცოცხლეს, არსებული ტბის ეკოსისტემის მოწესრიგებას, მწვანე საფარის განახლებასა და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის ისეთ განვითარებას, რომელიც სრულ ჰარმონიაში იქნება ბუნებრივ ლანდშაფტთან.

განათლება, ახალგაზრდობა და კულტურა

ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პროფესიული და ზოგადი განათლების ხელშეწყობაა:

- **სასკოლო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება:** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მუნიციპალური

განვითარების ფონდთან ერთად, გაიმართა მნიშვნელოვანი სამუშაო შეხვედრა რუსთავის სასკოლო საზოგადოებასთან. კერძოდ, N1, N2, N3 და N16 საჯარო სკოლების პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად დეტალურად განვიხილეთ შენობების რეაბილიტაციისა და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვის სამომავლო გეგმები.

- **ახალგაზრდების მხარდაჭერა:** საკრებულო წარმატებით აგრძელებს სტაჟირების პროგრამას „წარმოადგინე შენი ქალაქი“, რომლის მიზანია ახალგაზრდებს გააცნოს თვითმმართველობის მუშაობის სპეციფიკა და ხელი შეუწყოს მათ კარიერულ განვითარებას.

- **სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა:** რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 3-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის მონაწილეები რუსთავის საკრებულომ წელს პირველად მიიღო - კონკურსის წესით შერჩეულ სტუდენტებს პირადად შევხვდი და მათ სამუშაო გარემოში ინტეგრაციას შევუწყვე ხელი.

- **კულტურული სივრცეები:** საკრებულოს ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით, რუსთავის ისტორიული მუზეუმი გახდა ქვეყნის მასშტაბით პირველი სივრცე, რომელიც სრულად ადაპტირდა აუდიოდისკრიფციის სტანდარტით. გარდა ამისა, მთავრობისა და რეგიონალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით, ქალაქში გაიხსნა ახალი კულტურული ცენტრი - „არტ პავილიონი“.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

მოსახლეობის კეთილდღეობა და მოწყვლადი ჯგუფების თანადგომა ჩვენი პოლიტიკური გუნდის მთავარი მიზანია. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა:

- წარმატებით ხორციელდება და ფართოვდება სპეციალური სერვისები, როგორიცაა:
  - შინ მოვლის პროგრამები ხანდაზმულებისა და საჭიროების მქონე პირებისთვის;
  - აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა თერაპიის კურსები;
  - სპეციალიზებული დღის ცენტრების ფუნქციონირება;
  - ონკოლოგიურ პაციენტთა მხარდაჭერის პროგრამები.

ჩვენი ქალაქის წინსვლა და განვითარება თითოეული რუსთაველის აქტიური ჩართულობისა და თანადგომის შედეგია. მე, როგორც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელი, კვლავაც მაქსიმუმს გავაკეთებ იმისათვის, რომ რუსთავი გახდეს კიდევ უფრო კომფორტული, ეკონომიკურად ძლიერი და თანამედროვე ქალაქი.

მადლობას გიხდით ნდობისთვის, თანამშრომლობისთვის.

თარიღი: 20.10.2026 წ

ხელმოწერა: **მამუკა რეხვიაშვილი**